

## თავი 37 დემოკრატია ბანდა

ჯონათანმა გამარჯობის თქმა ვერ მოსწრო, როდესაც ვიღაცამ გამაყრუებლად იკივლა:

– დემოკრატების ბანდა! დემოკრატების ბანდა! თავს უშველეთ!

– გავიქცეთ! გავიქცეთ! – გაჰკიოდა ბიჭი, რომელმაც ჯონათანს წინ ჩაურბინა. ალისა გაფითრდა.

– უნდა გავიქცეთ, ჩქარა! – ხმადაბლა თქვა მან.

პოლიციელებმა პირველებმა უშველეს თავს. სახლებთან შეკრებილი ხალხი ყველა მიმართულებით გაიფანტა. სამი ოჯახის უფროსებმა ბავშვებს ხელი ჩაავლეს და კიბეზე ჩაცვივდნენ. ფუთებს ფანჯრიდან მეგობრებს უყრიდნენ, მერე თავიანთ ქონებას ხელი ჰკიდეს და გაუჩინარდნენ.

რამდენიმე წამის შემდეგ ქუჩა სრულიად დაცარიელდა. მოშორებით მხოლოდ ბავშვებითა და ჩანთებით დატვირთული ადამიანები მოჩანდნენ. კვარტლის ბოლოში მდგარ ერთი-ერთ სახლს ცეცხლის ალი ნთქავდა.

შიშისგან ადგილზე გაქცევებულმა ჯონათანმა ალისას ხელი ჩაავლო:

– რა ხდება? რამ შეაშინა ყველა?

ჯონათანისგან გასათავისუფლებლად ალისა გააფთრებით იბრძოდა, ბოლოს ვეხზე წამოაყენა და შესძახა:

– ეს დემოკრატების ბანდაა! მოუუსვათ აქედან, ჩქარა!

– რატომ?

– რა დროს კითხვებია?! სწრაფად, გავიქცეთ! – ყვიროდა იგი.

ჯონათანს არანაირი სურვილი არ ჰქონდა ვინმეს სადმე წაეთრია და არც ხელის გაშვებას აპირებდა. სიკვდილამდე შეშინებულმა ალისამ განწირული ხმით იკივლა:

– წავიდეთ, თორემ ორივეს დაგვიჭერენ!

– ვინ?

– დემოკრატების ბანდა! ყველას იჭერენ, ვისაც იპოვიან და მერე კენჭისყრით წყვეტენ რა უქნან. შეიძლება, ფული წაგართვან, გალიაში ჩაგსვან ან გაიძულონ, მათი ბანდის წევრი გახდეთ! მათ ვერაფერი შეაჩერებს!

ჯონათანს ერთადერთი აზრი უტრიალებდა თავში: „სადაა ამ დროს ყოვლისშემძლე პოლიცია?“

– ნუთუ კანონი ხალხს მსგავსი ბანდისგან ვერ იცავს?

– მისმინე, – თქვა ალისამ, თან ჯონათანისგან გათავისუფლებას კვლავინდებურად ცდილობდა, – მოდი ახლა გავიქცეთ და მერე ვილაპარაკოთ!

– ჯერ გვაქვს დრო... მიპასუხე!

ალისამ ისტერიულად მიმოიხედა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და სწრაფად დაიწყო:

– კარგი. როდესაც ბანდა პირველად დაესხა ადამიანებს თავს, პოლიციამ მისი წევრები სასამართლოს წინაშე წარადგინა. მათ განაცხადეს, რომ უმრავლესობის წესს მისდევდნენ, რომელსაც კანონის ძალა აქვს და დასძინეს, რომ კენჭისყრა ყველაფერს განსაზღვრავს – კანონიერებას, მორალს... მოკლედ, ყველაფერს!

– ბრალი დაუმტკიცეს?

ამ დროისათვის ქუჩა სრულიად გაუკაცრიელდა.

– ასე რომ ყოფილიყო, ახლა გაქცევა არ მოგვიწევდა. სამმა მოსამართლემ ორის წინააღმდეგ ბანდის წევრები უდანაშაულოდ სცნო. „უმრავლესობის წმინდა უფლება“, – აი, რა დაარქვეს მათ საქციელს. იმ დღის შემდეგ ბანდა თავისუფლად დათარეშობს ქუჩებში.

როგორც იქნა ჯონათანი კუნძულის უაზრო პრინციპებს მიხვდა.

– როგორ ცხოვრობს ხალხი ასეთ ადგილას? რამენაირად თავი ხომ უნდა დაიცვან?

– იარაღის გარეშე დემოკრატია ბანდისგან თავდაცვის ერთადერთი ხერხი უფრო მსხვილ დაჯგუფებაში გაწვევრიანებაა!

ჯონათანმა ალისას ხელი გაუშვა და ორივე ადგილს მოსწყდა. მათ გაირბინეს ჭიშკრები და მოედნები, არაერთ შუკას გასცდნენ. ალისა ხუთი თითივით იცნობდა ქალაქს.

მანამ მირბოდნენ, სანამ სული არ შეეხუთათ. ქუჩებისა და სახლებისგან გვარიანად მოშორებულებმა მახლობელ გორაკზე თავის შეფარება გადაწყვიტეს. პორიზონტიდან მზის უკანასკნელი სხივებიც გაუჩინარდა და ჯონათანმა ქალაქში მძვინვარე ხანძრის ენები დაინახა. პერიოდულად მათთან ყვირილის შორეული ხმები აღწევდა.

– სიარული აღარ შემიძლია, – თქვა ალისამ, რომელსაც მხრებზე ჩამოყრილი თმა საშინლად გასწეწოდა. იგი სულის მოსათქმელად ხეს მიეყრდნო. ჯონათანი გვერდით მიუჯდა და გათანგული ქვაზე გადაწვა. გიჟური სირბილისას ალისას კაბა დაეხია და ფეხსაცმელი დაეკარგა.

– ნეტავ ჩემს ოჯახს რა მოუვიდა? – სევდიანად ჩაილაპარაკა მან.

ჯონათანიც დარდობდა. იმ მოხუცებსა და მათ პატარა შვილიშვილ დეივიზე ფიქრობდა, რომლებმაც წინა დამეს შეიფარეს. ამ უცნაურ სამყაროში ყველა სასომიხდილი ჩანდა.

– საშინელებაა რომ არ გყავთ ხელისუფლება, რომელიც მშვიდ ცხოვრებას უზრუნველყოფდა.

ალისამ, რომელსაც სული ჯერ კიდევ ვერ მოეთქვა, ჯონათანს შეხედა და ახლოს მიუჩოხდა.

– ვერაფერიც ვერ გაიგე, – თქვა მან და ხანძრებისკენ მიანიშნა, – უხსოვარი დროიდან ადამიანები ერთმანეთს ყველაფერს ართმევენ. როგორ გგონია, ვინ ასწავლა ეს მათ?

– გინდა მითხრა, რომ ადამიანებს ძალის გამოყენება ვიღაცამ ასწავლა? – წარბი შეკრა ჯონათანმა.

– კონკრეტულად ვინმემ არა. უმრავლესობამ ეს ყოველდღიური მაგალითებით ისწავლა.

– ლორდების საბჭო რატომ არ შეაჩერებს მათ?

– თავად საბჭოა ძალა, – ხაზგასმით თქვა ალისამ, – როგორც წესი, ეს ის ძალაა, რომელიც ადამიანთა დაცვას კი არა, მათ წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდება.

ქალმა ჯონათანის გაოგნებულ სახეს შეხედა, აშკარა იყო, ამ უკანასკნელს გაგონილის აზრი დიდად არ ესმოდა.

– როდესაც რამის მიღება გინდა სხვა ადამიანისგან, როგორ ახეხრებ ამას? – იკითხა ალისამ და საჩვენებელი თითი მკერდზე მიაბჯინა ჯონათანს, რომელსაც მძარცველების მიერ დაუეჭილი ადგილი კვლავინდებურად სტკიოდა.

– ანუ, იარაღის გარეშე?

– ცხადია!

– ალბათ, მათ დარწმუნებას ვცდილობ?

– კეთილი... კიდევ?

– კიდევ... გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ...

– ესეც დარწმუნების ნაირსახეობაა... კიდევ?

– ჰმ.. ლორდთა საბჭოს მივმართავ.

– სწორია, – თქვა ალისამ, – თუ ხელისუფლება გეხმარება, ადამიანთა არც დარწმუნება გჭირდება და არც ფულის გადახდა. თუ ლორდთა საბჭოს მოისყიდი ან ხმის მიცემას აღუთქვამ, ნებისმიერი შეგიძლია აიძულო, შენი სურვილისამებრ იმოქმედოს. ხოლო თუ ის სხვა ხელისუფალთ შენზე მეტს შეპირდება, შენ მოგიწევს იმის გაკეთება, რაც მას სურს. ხელისუფლება ყოველთვის იმარჯვებს.

– მეგონა, მთავრობა საზოგადოებას თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა, – თქვა ჯონათანმა.

– პირიქით. ვის სჭირდება თანამშრომლობა, როცა საქმე ძალას ეხება, – უპასუხა ალისამ, – ძლიერები ამა ქვეყნისა ყველა სურვილს ისრულებენ, დანარჩენებს კი ამასთან შეგუება უწევთ. ეს კანონიერია, მაგრამ უმცირესობა უკმაყოფილოა, იმედგაცრუებული და მტრულად განწყობილი.

ალისამ ჯონათანს კიდევ ერთხელ მიანიშნა ხანძარზე.

– შეხედე ამ არეულობას. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში საზოგადოება ორ ნაწილად არის გახლეჩილი. არჩევნებში დამარცხებული დაჯგუფებები მთელს კუნძულს გამბეინვარებულნი მოედებიან ხოლმე.

ალისა კარგა ხანით მიყუჩდა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

– მე და მამას სპეციალური ადგილი გვაქვს, სადაც მსგავს შემთხვევებში ვხვდებით ხოლმე, მაგრამ დავიცდი, სანამ ყველაფერი ჩაწყნარდება.

შტორმის შემდეგ ორი დღის განმავლობაში ნანახით გაოგნებული ჯონათანი უმოძრაოდ იჯდა. კარგა ხნის შემდეგ ალისას გახედა, რომელსაც მშვიდად ჩასძინებოდა. ჯონათანი მისით აღფრთოვანებული იყო. მერე თავადაც მოკალათდა და დასაძინებლად მოემზადა.